ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროება და ძალადობა სპორტში

თვისებრივი კვლევის შედეგები

წინამდებარე კვლევა მომზადებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის ,,კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის ,,ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროება სპორტში“ ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) მიერ.

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

ავტორი: ნანა გოჩიაშვილი

2021

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის შედეგები 5

ქალთა თანასწორობა სპორტში 6

მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემო 9

სექსუალური შევიწროება სპორტში 11

სექსუალური შევიწროება - იძულება და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება 14

სექსუალური შევიწროება - ფიზიკური 15

სექსუალური შევიწროება - ვერბალური 16

სექსუალური შევიწროება - მტრული გარემოს შექმნა 17

სპორტში ქალების მიმართ სექსუალური შევიწროების შედეგები 18

სახელმწიფოს ვალდებულებები სპორტში ქალების შევიწროების პრევენციის და რეაგირების მიმართულებით 19

დასკვნა 24

რეკომენდაციები 26

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრობლემაა მსოფლიოში. ძალადობის სხვადასხვა ფორმები განსხვავებული ინტენსივობით გვხვდება ყველა კულტურაში და საზოგადოებაში. ის გავლენას ახდენს ქალებზე განურჩევლად მათი შემოსავლის, სოციალური სტატუსის, რასისა თუ ეთნიკური კუთვნილებისა. ბოლო წლებში აქტიურად დაიწყო საუბარი სპორტში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემაზე, მათ შორის სექსუალური შევიწროების თემაზე, რომელიც თავის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული გენდერული ძალადობის ფორმაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევების მიხედვით ქალების ნახევარზე მეტს გამოუცდია რაიმე ფორმით სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე[1]. ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით სამუშაო ადგილებზე სექსუალური შევიწროების მაჩვენებელი 45-დან 81%-მდე მერყეობს, რომელთაგან მხოლოდ 5-დან 22%-მდე არის ოფიციალურად დარეგისტრირებული[2]. სპორტში ქალთა მიმართ ძალადობა და შევიწროება მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება და ახლავს კონკრეტული რისკ-ფაქტორები, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ ეროვნულ დონეზე სპორტში უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცესში.

კვლევის მიზანია, გამოავლინოს ის ძირითადი ტენდენციები, რომელიც დამახასიათებელია სპორტში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და შევიწროების მიმართულებით საქართველოში. კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კერძოდ, საკვლევი საკითხების შესწავლის მიზნით გამოყენებული იყო ინდივიდუალური ინტერვიუები სპორტის სფეროში ჩართულ ქალებთან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ქალებმა ფეხბურთის, ფარიკაობის, ძიუდოსა და ტანვარჯიშის სფეროდან. სულ ჩატარდა 17 სიღრმისეული ინტერვიუ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით. კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ ქალი სპორტსმენები როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან. მონაწილეთა შერჩევისას მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა, რომ რესპონდენტი ყოფილიყო ქალი და წარსულში ან მიმდინარედ ჰქონოდა აქტიური სპორტული კარიერა.

კვლევას აქვს თავისი შეზღუდვები. კვლევა ჩატარდა მხოლოდ იმ ქალ სპორტსმენებთან, რომლებმაც გამოთქვეს თანხმობა ესაუბრათ საკუთარ გამოცდილებაზე სპორტში სექსუძლური ძალადობისა და შევიწრობის თემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული კვლევა ერთ-ერთი პირველია საქართველოში სპორტში ქალთა მიმართ ძალადობისა და შევიწროების თემაზე, რომელიც წარმოადგენს სიახლეს და ტაბუირებული საკითხია ჯერ-ჯერობით სპორტულ სამყაროში, მან ვერ მოიცვა სპორტის ყველა სახეობა. კვლევის ფარგლებში დაგეგმილი იყო ფოკუს-ჯგუფის შეხვედრების ჩატარება ქალ სპორტსმენებთან. COVID-19-ის პანდემიის პირობებში კვლევის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იყო ფოკუს-ჯგუფის შეხვედრების ონლაინ ფორმატში ჩატარება. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ კვლევაში ჩართული რესპონდენტები ძირითადად რეგიონებში

[1] Kari Fasting, Research on Sexual Harassment and Abuse in Sport, 2005

[2] International, Regional and National Developments in the Area of Violence Against Women 1994-2003, 2003

ცხოვრობენ, არა აქვთ კომპიუტერი და წვდომა ინტერნეტზე, გართულდა მათთან ონლაინ ფორმატში შეხვედრების ჩატარება.

კვლევის შედეგები ქალთა შევიწროებისა და გენდერული ძალადობის თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს, სახელმწიფო უწყებებს, სპორტულ გაერთიანებებს, ფედერაციებს, ასოციაციებს, კლუბებს და სპორტის სფეროში ჩართულ ქალებს აჩვენებს იმ ძირითად ტენდენციებსა და კონკრეტულ ფაქტებს, რომელიც დამახასიათებელია სპორტში ქალთა მონაწილეობის დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან, მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების გამოცდილებასთან.

კვლევის შედეგები

კვლევა ოთხი ძირითადი თავისგან შედგება. თავდაპირველად გაანალიზებულია საქართველოში სპორტში ქალთა თანასწორობის საკითხი, ის ზოგადი ბარიერები და პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ქალთა წარმომადგენლობას სპორტში, განსაკუთრებით კი სპორტის იმ სახეობებში, რომელიც კაცებით დომინანტურია. აღნიშნულ თემასთან მიმართებით კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ქალები კაცებთან შედარებით არათანაბარ პირობებში არიან, რაც უმეტესად ქალი სპორტსმენების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებით არის განპირობებული. ამასთან, ქალებს არა აქვთ სათანადო დაფინანსება, ინფრასტრუქტურა, ხშირად ხელი არ მიუწვდებათ სავარჯიშო დარბაზებსა და სპორტულ მოედნებზე, კაცების მსგავსად არ ეძლევათ გასვლით შეკრებებში მონაწილეობის შესაძლებლობა, განსხვავებულია ანაზღაურება, არ არის ეფექტური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები.

კვლევის მეორე თავი აფასებს ქალებისათვის მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი და შეურაცხმყოფელი გარემოს არსებობას სპორტში. აღნიშნული ქვეთავი აქცენტს არ აკეთებს უშუალოდ სექსუალურ შევიწროებაზე, არამედ მიმოიხილავს ზოგადად ქალების მიმართ შექმნილ მტრულ და დამამცირებელ გარემოს სპორტული ორგანიზაციის ადმინისტრაციის, მათ შორის მწვრთნელების მხრიდან. კვლევამ აჩვენა, რომ ქალი სპორტსმენების მიმართ მიღებული პრაქტიკაა დამამცირებელი მიმართვები, ღირსების შემლახავი დავალებების მიცემა დასჯის მიზნით, ყვირილი და ზოგჯერ გინებაც კი, რომელიც ძალიან უარყოფითად მოქმედებს სპორტსმენების ემოციურ მდგომარეობასა და შესაბამისად, სპორტულ მიღწევებზე. კვლევის შედეგების მიხედვით, მსგავსი მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი და შეურაცხმყოფელი გარემო სპორტიდან ქალების წასვლის მიზეზიც კი გამხდარა. ასევე, გამოიკვეთა, რომ პატარა ასაკში სპორტსმენი გოგოების მიმართ ასევე ყოფილა ფიზიკური ძალადობის, დარტყმის პრაქტიკა.

მესამე თავი აანალიზებს კვლევის შედეგებს უშუალოდ სპორტში სექსუალური შევიწროების ჭრილში. კერძოდ, აღნიშნულ თავში დეტალურად არის გაანალიზებული სექსუალური შევიწროების ის ფორმები, რომლის გამოცდილებაც ქონიათ კვლევაში მონაწილე ქალ სპორტსმენებს. შედეგებმა აჩვენა, რომ სექსუალური შევიწროების ყველა ფორმა, რომელსაც საერთაშორისო განმარტებები აღიარებენ, აქტიურად გვხვდება საქართველოს რეალობაში. უნდა აღინიშნოს, რომ შედეგების მიხედვით სექსუალური შევიწროების განმახორციელებელი უმეტესად არიან მწვრთნელები, იშვიათად კი სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი კაცები. რესპონდენტები საუბრობენ სექსუალური

შევიწროების შემდეგ ფორმებზე: იძულება და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ფიზიკური და ვერბალური ფორმებით გამოხატული სექსუალური შევიწროება და მტრული გარემოს შექმნა.

ბოლო თავი აანალიზებს სახელმწიფოს ვალდებულებებს სპორტში ქალების შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მიმართულებით. კვლევის შედეგების მიხედვით, ერთ-ერთი პირველი, რაზეც სახელმწიფომ უნდა იმუშაოს, უშუალოდ ქალი სპორტსმენების ინფორმირებულობის გაზრდაა ძალადობისა და სექსუალური შევიწროების შესახებ. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სპორტში ქალთა თანასწორობის მისაღწევად და გენდერული ძალადობის შესამცირებლად არსებითად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან დაგეგმილი და მიზანზე ორიენტირებული ცოდნისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება, მწვრთნელების გადამზადება და ამ პროცესში მშობელთა ჩართულობის მექანიზმების შექმნა. შედეგებმა აჩვენა, რომ აუცილებელია დაიხვეწოს მწვრთნელებისათვის ლიცენზიის გაცემისა და ჩამორთმევის პროცედურები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების, ასევე ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საკითხები.

ქალთა თანასწორობა სპორტში

სპორტში ქალების თანასწორობის პრინციპის მნიშვნელობის შესახებ არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი საუბრობს, რომლის მთავარი მიზანი სპორტში ქალების საჭიროებების ჩვენება და გათვალისწინებაა. სპორტში ქალების თანასწორობაზე აკეთებს აქცენტს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) 1978 წლის საერთაშორისო ქარტია ფიზიკური აღზრდისა, ფიზიკური აქტივობის და სპორტის შესახებ[3]. ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანასწორობას უსვამს ხაზს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (1979). სპორტში ქალების თანასწორობის უზრუნველყოფისა და ძალადობის ხშირი შემთხვევებიდან გამომდინარე, 2015 წელს ევროპის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია სპორტში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ (2015)2)[4]. 2014 წელს ევროკომისიის ექსპერტების ჯგუფმა სპორტში გენდერული თანასწორობის საკითხებში, შეიმუშავეს სტრატეგიული დოკუმენტი სპორტში გენდერული თანასწორობის საკითხზე[5]. FIFA-ს ეთიკის კოდექსი უზრუნველყოფს, რომ ყველა დასაქმებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანასწორი მოპყრობით და აცხადებს ნულოვან ტოლერანტობას დისკრიმინაციისა და შევიწროების მიმართ[6].

თვისებრივი კვლევის ერთ-ერთ საკვლევ საკითხს სწორედ საქართველოში სპორტში ქალების მონაწილეობის ხელისშემშლელი ზოგადი ფაქტორების იდენტიფიცირება და ქალი სპორტსმენების მიმართ არსებული დამოკიდებულების შესწავლა წარმოადგენდა. კერძოდ, კვლევაში მონაწილე ქალმა სპორტსმენებმა იმსჯელეს სპორტში ქალების თანასწორობის საკითხზე. შედეგებმა გამოავლინა, რომ ქალები კაცებთან შედარებით არათანაბარ პირობებში არიან. ქალ სპორტსმენებს, განსხვავებით ბიჭებისგან, არა აქვთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა

[3] United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO) (1978). International Charter of Physical Education, physical activity and sport.
[4] Council of Europe (2015). Recommendations on gender mainstreaming in sport.
[5] The European Commission (2014). Gender Equality in Sport. Proposal for Strategic Actions 2014-2020.
[6] FIFA Good Practice Guide on Diversity and Anti-discrimination, FIFA, 2018

და რესურსები ვარჯიშის დროს, განსხვავებულია და არასაკმარისია ის დაფინანსება განსაკუთრებით ისეთი სპორტის სახეობის შემთხვევაში, რომელიც უფრო მეტად კაცებით არის დომინანტური. კერძოდ, კვლევის შედეგების მიხედვით, სპორტის ასეთ სახეობას მიეკუთვნება ფეხბურთი და ძიუდო. განსხვავებით ბიჭებისგან, ქალ სპორტსმენებს ყოველთვის არ მიუწვდებათ ხელი სტადიონზე და შესაბამის ქალზე მორგებულ ინფრასტრუქტურაზე:

,,მე იმას ვიტყვი, რომ ბიჭებს იმაში აქვთ უპირატესობა, რომ სტადიონი სულ აქვთ. ჩვენ როცა ვითხოვთ ნორმალურ სტადიონს ან ბაზას, არა იქ ბიჭები არიან, ჩვენ არ შეგვიშვებენ. ამ მხრივ სულ აქვთ უპირატესობა, ისინი ბიჭები არიან და ამიტომ ისინი უნდა შევიდნენ. ამ მხრივ არის ნამდვილად განსხვავება" [ქალი ფეხბურთელი].

,,მე თამაშებზე დავდივარ მსაჯად ბიჭებთან ერთად, დასავლეთში მე ვარ მხოლოდ ქალი მსაჯი. პრობლემა არის ის, რომ გამოყოფილია მხოლოდ ერთი გასახდელი და გვიწევს მორიგეობა, ეს დიდი დისკომფორტია და სირთულე" [ფეხბურთის მსაჯი ქალი].

,,ერთი ის ვიგრძენი, რომ გოგოებს არ გვაფასებენ. ჩვენს პერსპექტივებს რამდენადაც შეუძლიათ უფრო კარგად ვიყოთ, უკან გვწევენ, ყველაფერს გვიკლავენ, საერთოდ არ აინტერესებთ ქალთა ფეხბურთი. ისეთი შეგრძნება დამრჩა, რომ შევცდი ჩემი პროფესიის არჩევაში. მარტო წვალება, შრომა და ბრძოლაა" [ქალი ფეხბურთელი].

გარდა იმისა, რომ ხშირად ქალ სპორტსმენებს არ ეძლევათ კაცების მსგავსად გასვლით შეკრებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, ქალების დისკრიმინაციის ერთ-ერთ მაგალითად გამოიკვეთა ასევე განსხვავებული დაფინანსება და ანაზღაურება ქალებსა და კაცებს შორის, რაც ხელფასის გარდა ღირსეული თამაშისა და ვარჯიშისათვის შესაბამისი პირობების შექმნას გულისხმობს:

,,ისინი უფრო გაბატონებულები არიან. ჩვენ იმდენად დისკრიმინაციის ქვეშ ვართ, რომ ჩვენ შეკრებები არ გვიტარდება. ამ დროს ძალიან დიდი შედეგები გვაქვს და ბევრად უკეთესი. ხელფასიც უფრო დაბალი გვაქვს" [ძიუდოისტი ქალი]

,,გუშინაც ვიყავი მერთან და ვკითხე, რატომ არ მეკუთვნის იგივე ხელფასი? დავდივარ, ვწვრთნი ამ ბავშვებს, ვშრომობ, პანდემიის დროსაც კი არ დამისვენია, გამომქონდა გარეთ ტატამი და იქ ვვარჯიშობდით ყოველდღე ვეკიდებოდი ამ ტატამს, ბავშვების გამო, რომ ჩავარდნა არ ქონოდათ, გვაქვს კარგი შედეგები" [ძიუდოს მწვრთნელი ქალი]

,,არ გვიხდიდა მგზავრობის საფასურს, გარდა იმისა, რომ ხელფასიც კი არ გვქონდა ხოლმე, არანაირი ხელშეწყობა არ იყო, თუნდაც ვარჯიშამდე ჩვენი სახსრებით არ მივსულიყავით. ახლო თამაშები თუ გვქონდა გასვლითი, გუნდი ვალდებულია, ფედერაცია ურიცხავს თანხას ჩემპიონატის წინ და ვალდებულია უზრუნველყოს ტრანსპორტირება, კვება, ეკიპირება. იყო ხოლმე არასწორი გათვლები, უკანა გზაზე არ გვაჭმევდნენ, რომ მალე მიხვალ. თამაშის წინ ჭამასაც კი არ უზრუნველყოფდნენ ხშირად. ბიჭების შემთხვევაში ეს სხვანაირად არის სრულად, სხვა ხელშეწყობაა. ყველაფერი პირიქით არის მაგ შემთხვევაში, აქვთ სპორტული შეკრებები, ბაზაზე

შედიან, დასასვენებლად ზბორებზე ერთად მიდიან. ექიმიც კი არ გვყავდა, ყველას თავისი ექიმი უნდა ყავდეს [ფეხბურთელი ქალი]

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სპორტში ქალების დისკრიმინაციის მაგალითს წარმოადგენს ასევე ჯანმრთელობის უფლების დაცვის საკითხი და ქალების საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების მიღების შესაძლებლობა. ქალი სპორტსმენები აღნიშნავენ, რომ მათ არა აქვთ დროულად სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა და მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიღონ დახმარება, როდესაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდება:

,,სანამ ბოლომდე არ მოვკვდებოდით, არავინ ყურადღებას არ გვაქცევდა, ექიმი არ გვყავდა. მე მაგალითად, ვარჯიშის დროს გამისკდა კისტა და მაშინ მომექცა ყურადღება, თორე მაქამდე არავინ მაქცევდა ყურადღებას. დაზღვევა არ გვქონდა, ახლა გაუკეთეს. იმ ყველაფრის მერე გაუმჯობესდა, რაც ბავშვებმა ხმა ამოიღეს და წინააღმდეგობა გაუწიეს" [ფეხბურთელი ქალი]

,,გუნდი არ ახდენდა იმის კომპენსაციას, თუ მოთამაშე დაშავდებოდა თამაშის დროს" [ფეხბურთელი ქალი]

,,ექიმიც კი არ გვყავდა, ყველას გუნდს თავისი ექიმი უნდა ყავდეს" [ფეხბურთელი ქალი]

კვლევის შედეგების მიხედვით სპორტში ქალების დისკრიმინაცია ხშირად გამოწვეულია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებით. მსგავსი დამოკიდებულებით გამოირჩევიან როგორც მაყურებლები, ისე სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ჩართული სპორტსმენი კაცებიც. ეს დამოკიდებულება პირდაპირ აისახება ქალთა სპორტის დაფინანსებაზე, მაყურებელთა რაოდენობასა და დამოკიდებულებებში:

,,ძალიან დიდი განსხვავებაა. ქალთა ფეხბურთს მაყურებელი არ ყავს დიდად, არც პირობები. ბიჭებს უფრო მეტი ყურადღება ექცევათ, ვიდრე ქალებს. არ აღიქვამენ ქალს ფეხბურთელად. ხშირად ყოფილა დამცინავი რეპლიკები თამაშის დროსაც, მაგრამ დიდად აღარ ვაქცევ ყურადღებას. თვითონ ფეხბურთელი ბიჭების მხრიდან არის ხოლმე დამამცირებელი რეპლიკები" [ფეხბურთელი ქალი].

,,ზოგადად ქალ სპორტსმენს უფრო მეტად ამცირებენ, კაცს უფრო არა. ქალს უფრო ნაკლებად იღებენ როგორც სპორტსმენს და აქედან გამომდინარეობს ის უარყოფითი დამოკიდებულებაც მწვრთნელების მხრიდან" [ტანმოვარჯიშე ქალი].

,,აქ როგორ არის იცით? ქალი არის მეასე ხარისხოვანი. სახლში როგორც იტყვიან ისე დადიან და აქაც იგივე დამოკიდებულება აქვთ, ისე უნდათ რომ იქცეოდნენ ქალები. მეუღლე რომ დამეღუპა, მერე წამოვიდა ეს ტალღა, მარტოხელა ქალი მწვრთნელი კიდევ უფრო დაუცველი აღმოვჩნდი." [ძიუდოს მწვრთნელი ქალი]

კვლევაში მონაწილე ქალი სპორტსმენების განცხადებით, მსგავსი სტერეოტიპული დამოკიდებულება აქვთ უშუალოდ ქალთა სპორტში ჩართულ კაცებსაც, მწვრთნელებს, მსაჯებსა და გუნდის ადმინისტრაციას:

,,ზოგადად სხვა ტრენერებისგან ის ისმოდა, რომ ქალს რა უნდა სპორტში, წადი კუხნაში და ასეთი დამოკიდებულება, სპორტი ყველასთვის არის და არ მომწონდა" [ფეხბურთელი ქალი].

,,ზოგადად საერთოდ არ მომწონს კაცებით რომ არის დომინირებული ეს სპორტი. არ მომწონს, ძალადობრივია მაინც კაცების მხრიდან ქალებთან მუშაობა და სულ გონიათ, რომ აუცილებლად თვლიან, რომ რაღაცებზე თვალი უნდა დავხუჭოთ. სრულად კაცურ მენტალიტეტზეა აგებული ყველაფერი, კაცური სოლიდარობის მომენტები აქვთ. ჩვენ თუ რამეზე ვიტყვით, რომ არ მოგვწონს და მიუღებელია, აუცილებელი იქნება კაცური სოლიდარობა და მხარდაჭერა. შეიძლება ისიც იკადრონ და თქვან, რომ მაინც გოგო ხარ და რა გინდა აქ. ძირითადად ასეთი აგდებული დამოკიდებულებაა ხოლმე" [ფეხბურთელი ქალი].

კვლევამ აჩვენა, რომ ქალ სპორტსმენებს ორმაგი ძალისხმევის გაწევა უწევთ, რომ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ, დაარწმუნონ საზოგადოება და სპორტული სამყარო საკუთარ შესაძლებლობებში და იმაში, რომ ქალებს კაცების თანასწორი ადგილი უკავიათ სპორტში.

,,არ არის ადვილი, იყო სპორტსმენი გოგო ჩვენთან, ყოველდღე გვიწევს დარწმუნება, რომ შეგვიძლია ქალებსაც თამაში, ძალიან დიდი ბრძოლა გვიწევს, რომ მარტო კაცებისთვის არ არის ეს სპორტი. ადრე, მე რომ ვთამაშობდი, ძალიან ცუდი დამოკიდებულება იყო ყველას მხრიდან, თუნდაც მაყურებლის მხრიდან, სოფლებში დამოკიდებულება იყო, რომ ქალს რა უნდა სპორტში, ფეხებს გაიფუჭებს, სხეულს გაიფუჭებს. ახლა უფრო მეტი ყურადღება ექცევა და ცოტა აზროვნებაც შეიცვალა. მაგრამ მაინც ძალიან ბევრის დამტკიცება უწევთ ბავშვებს" [ფეხბურთის მსაჯი ქალი].

მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემო

1992 წელს ევროპის საბჭომ მიიღო ევროპის სპორტის ქარტია (R(92)13)[7]. ქარტიის პირველი მუხლი საუბრობს სპორტის მორალურ და ეთიკურ საფუძვლებზე, ადამიანის თავისუფლებაზე და სპორტში ჩართული ყველა პირის უსაფრთხოებაზე, სპორტში, ქალებისა და კაცების ნებისმიერი სახის პოლიტიკური, კომერციული და ფინანსური ექსპლუატაციისგან დაცვაზე, ასევე ძალადობრივი და დამამცირებელი პრაქტიკისგან დაცვაზე.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი საკვლევი საკითხი იყო ქალი სპორტსმენებისთვის მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნასთან დაკავშირებული პრაქტიკა. შედეგებმა აჩვენა, რომ ქალი სპორტსმენები მწვრთნელების მხრიდან ხშირად განიცდიან შეურაცხყოფას, მათ შორის თამაშის დროს, როდესაც მაყურებელი ესწრება და ესმის ქალი სპორტსმენების მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ. კვლევაში მონაწილე სპორტსმენების თქმით, მსგავსი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აისახებოდა მათი თამაშის ხარისხზე, სტიმულს უკარგავდათ და ძალიან რთული იყო ფსიქოლოგიურად ამის გადატანა:

,,იყო თამაშებზე შეძახილები ადრე მწვრთნელისგან, რაც არ მსიამოვნებდა არც მე და არც სხვა გუნდელებს. თამაშის დროს, სხვების თანდასწრებით. ვარჯიშზეც ბევრჯერ

[7] 2 Council of Europe (1992). European Sports Charter.

ყოფილა. თამაშზე ბევრჯერ დაუძახია ჩემთვისაც და სხვებისთვისაც. შენ არ ვარგიხარ, არ იცი, არ ვარგიხარ, სტიმულს რომ დაგიქვეითებს, მე პირადად არ მომწონდა“ [ფეხბურთელი ქალი].

,,პირდაპირ თამაშის დროსაც ხდებოდა ასე, სადაც სხვა ადამიანებიც არიან და ყველას ესმოდა“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ვარჯიშის დროსაც ძაან ცუდად გამოხატავდა ხოლმე. თავი შეიძლება იმით გაიმართლო, რომ ემოციური ხარ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ასე“ [ფეხბურთის მწვრთნელი ქალი].

,,დებილოს რომ გეძახის, ცოტა კი არა ძალიან არასასიამოვნოა“ [ფეხბურთელი ქალი].

„იყო ისეთი მომენტები, თამაშის დროსაც, ბევრი ხალხი რომ იყო სტადიონზე, მაყურებელს ვგულისხმობ, შენი ტრენერი ამ დროს ბოლო ხმაზე გიყვირის, უჭკუო ხარ, ვერ აკეთებ, დებილი ხარ, ის ვერ გააკეთე, ეს ვერ გააკეთე“ [ფეხბურთელი ქალი].

კვლევამ აჩვენა, რომ ხშირია კაცი მწვრთნელების მხრიდან ქალი სპორტსმენებისათვის დამამცირებელი გარემოს შექმნა ვარჯიშის დროს, რაც ძირითადად გამოიხატებოდა სხვების თანდასწრებით, რაიმე დავალების შესრულებაში, რომელიც დამცირებას ისახავდა მიზნად:

,,პირველ რიგში გუნდში იყო ასეთი დამოკიდებულება მწვრთნელის მხრიდან. ცალკე გვაყენებდა, რომ არ გამოვჩენილიყავით, რაღაცას რომ ვერ გავაკეთებდით. მაგალითად იყო შემთხვევები, როცა გვეძახდა, რომ დებილები ხართ, ბატები ხართ ანუ ძაან ისეთ, ცუდ რაღაცებს გვეძახდა“ [ფეხბურთელი ქალი].

,,თხები ხომ არა ხართ, მსგავსი სიტყვები ყოფილა ხოლმე მწვრთნელის მხრიდან, ან დებილები ხართ და ა.შ. ყვირილით არის ხოლმე კომუნიკაცია. ბავშვებზე იმის თქმა, რომ კუთხეში დადექი და იქ მაინც გააკეთე, რომ არავინ დაგინახოს. დამცირება რომ უნდოდა ხოლმე ბავშვების“ [ფეხბურთელი ქალი].

შედეგებმა აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე ყველა სპორტის სახეობის წარმომადგენელი ქალების მიმართ კომუნიკაციის ფორმად გამოყენებულია ყვირილი და ხშირად გამოიყენებოდა ასევე გინება:

,,თამაშის დროს, თუ რამეს ისე ვერ გააკეთებდი, როგორც საჭირო იყო, გამოხატავდა ძალიან ცუდად, ცუდი სიტყვებით არ უნდა მიმართო. ხან გინებით გამოიხატებოდა, ხან ისე უბრალოდ ცუდი სიტყვებით. ამ სიტყვებს ვერ გავიმეორებ ახლა [ფეხბურთელი ქალი].

,,თქვენი.... ბოლომდე არ ასრულებდა, მაგრამ ასე მოგვმართავდა. განსაკუთრებით უცხოელი გუნდელების მიმართ, ქართული რომ არ ესმოდათ, იმათ მიმართ იყენებდა ხოლმე ასეთ ტერმინებს“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ჩვენ დარბაზი ტატამი სადაც ვვარჯიშობთ, პირველი ეგ იყო, რომ დარბაზი უნდა იყოს უსაფრთხო გარემო ბავშვისთვის. ამიტომ გვქონდა ლეიბები, ის ლეიბები იყო გარშემო, რომ ჭიდაობის დროს თავი არ დაარტყას ბავშვმა. ამ ხელმძღვანელებმა აგვაცალეს ერთ დღეს. ერთ-ერთმა ბავშვმა პროტესტი გამოთქვა, რატომ მიგაქვთო,

დედაჩემი მიშვებს, რომ უსაფრთხოდ ვიყო აქ, გააჩუმო ენა, შე ლაწირაკო შენა. შეგთხრით ამ ლეიბს ერთ ადგილას და ა.შ“ [ძიუდოს მწვრთნელი ქალი].

არსებული დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემო ქალ სპორტსმენებს ხშირად გუნდის დატოვებისკენაც უბიძგებს:

,,სადაც ადრე ვთამაშობდი, მწვრთნელისგან იყო ძალიან ცუდი დამოკიდებულება გოგოების მიმართ. გოგოებს სულ სხვა დამოკიდებულება და მიდგომა ჭირდებათ და ის ძალიან ცუდი დამოკიდებულებით იყო, ამიტომ დავტოვე ეს გუნდი“ [ფეხბურთელი ქალი].

,,მე კლუბიდან წამოვედი. ერთხელ ვერ მივედი ვარჯიშზე, ბებია მყავდა ავად და მერე რომ მივედი შემაგინა, შენი... შემოეთრიეო. გასახდელში შევედი, ჩანთა ავიღე და წავედი სახლში, არც დავემშვიდობე. მირეკავს გვიან და მეკითხება, რატომ წახვედი ისე რომ არ დამემშვიდობე და არ მნახეო. ვუთხარი, რომ მეწყინა შენგან ეს და ეს, ამის ღირსი არ ვიყავი. ამის შემდეგ მომიხადა ბოდიში, მითხრა რომ ასეთი რაღაც აღარ განმეორდებაო, მაგრამ რა თქმა უნდა, კიდე არაერთხელ განმეორდა ასეთი ფაქტი“ [ფეხბურთელი ქალი].

ყვირილთან ერთად ფიზიკური ძალადობის შესახებ საუბრობს კვლევაში მონაწილე ტანმოვარჯიშე. მისი თქმით, იქედან გამომდინარე, რომ ტანვარჯიში მაინც ქალებით დომინანტური სპორტია, სექსუალური შევიწროების ნაცვლად, მათ შემთხვევაში ძირითადად უფრო დარტყმა, ყვირილი და წონაზე უხეშად მითითება იყო წამყვანი. წონასთან დაკავშირებით უარყოფითი კომენტარები კვლევაში მონაწილე ფეხბურთელების შემთხვევაშიც გამოიკვეთა როგორც პრობლემა:

,,დაყვირება იყო ხოლმე მწვრთნელისგან. ხშირად იყო ხოლმე ხმამაღალი ყვირილი, ხელის დარტყმაც ყოფილა, პატარა რომ ვიყავი. ყვირილი და ცემა ჩვენთან უფრო ხშირია. ჩემთან არა მაგრამ სხვებზე კი. ფსიქოლოგიურად თან ძალიან მოქმედებს. ჩვენთან არ უნდა გასუქდე ისეთ სპორტია და ამასთან დაკავშირებით იყო ხოლმე აქცენტი. რა მსუქანი ხარ, ღორივით ხარ და მსგავსი რაღაცები იყო ხოლმე ხშირად“ [ტანმოვარჯიშე ქალი].

,,წონასთან დაკავშირებული იყო ხოლმე ხაზგასმა და შეურაცხმყოფელი მიმართვები. გასაგებია, რომ მწვრთნელს რაღაც მიდგომები შეიძლება ქონდეს, მაგრამ თუ 2-3 კილოს გადაცდები, არ უნდა გახდეს დამცირების საფუძველი. ეს ხდებოდა პირდაპირი დაცინვით, უყვიროდა ჩემს გუნდელს ბოჭკა ხარ, სანამ არ დაიკლებ, არ მოეთრიო აქ და მსგავსი გამონათქვამები“ [ფეხბურთელი ქალი].

სექსუალური შევიწროება სპორტში

კვლევის ძირითადი საკვლევი თემა სპორტში ქალების შევიწროება და ძალადობის თემა წარმოადგენდა. კვლევის ფარგლებში მოხდა სექსუალური შევიწროების ყველა ფორმის ანალიზი და გამოკვეთილმა შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში სპორტსმენი ქალები საერთაშორისო ლიტერატურაში[8] იდენტიფიცირებული სექსუალური შევიწროების ყველა

[8] Workplace Violence and Harassment: A European Picture, European Agency for Safety and Health at Work, 2010

ფორმის მსხვერპლები გამხდარან. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ გავრცელებულია ფიზიკური (არასასურველი ფიზიკური კონტაქტი), ვერბალური (განმეორებადი სექსუალური შინაარსის კომენტარები), ჟესტები (მაგალითად, განმეორებადი სექსუალური შინაარსის ჟესტები პირის სხეულზე), წერილობითი, იძულებითი (მაგალითად, სამსახურიდან გათავისუფლების მუქარა, თუ არ დაკმაყოფილდება სექსუალური შინაარსის სურვილები), მტრული გარემოს შექმნა (პორნოგრაფიული მასალის ჩვენება) ფორმები.

კვლევის შედეგების მიხედვით სექსუალური შევიწროების დროს არსებობს რისკ-ფაქტორები, რომლის დროსაც უფრო მეტად ხდებიან ქალი სპორტსმენები სექსუალური შევიწროების მსხვერპლები. მაგალითად პირველ ასეთ რისკ-ფაქტორად დასახელდა ასაკი. მნიშვნელოვანია, რომ კვლევაში მონაწილე სპორტსმენების მიერ დასახელებული აღნიშნული რისკ-ფაქტორი სრულად იმეორებს საერთაშორისო კვლევების მიგნებებს[9], რომლის მიხედვითაც სწორედ უფრო პატარა ასაკის სპორტსმენი გოგოები ხდებიან სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის მსხვერპლები.

> *,,ასაკით უფრო პატარებს ავიწროებდა ანუ ვისთანაც გასდიოდა ეს ყველაფერი. მე პირადად ხმას ვერ ვიღებდი და უმეტესად ასეთ ადამიანებთან იქცეოდა ასე [ფეხბურთელი ქალი].*
>
> *,,ყოველთვის ცდილობდა, რომ რაღაცნაირად დაყოფილები ვყოფილიყავით, პატარები ვიყავით ცალკე, დიდები ცალკე. ცდილობდა, რომ ერთმანეთთან კონტაქტი არ გვქონდა და არ გვესაუბრა ერთმანეთთან. პატარებთან უფრო იქცეოდა ასე" [ფეხბურთელი ქალი].*
>
> *,,ჩემთან უფრო სიტყვიერი იყო. იმიტომ რომ ასეთ საკითხებს მკაცრად ვუდგებოდი და მკაცრად ვპასუხობდი და მერე აღარ გასდიოდა ჩემთან. რეაგირებას ვაკეთებდი, რადგან ასაკითაც დიდი ვარ, პატარებთან კიდევ უფრო სხვა დამოკიდებულება იყო, იმიტომ რომ ბავშვები იყვნენ და არ უნდათ, რომ ცუდი რამე ეთქვათ, არ ათამაშებდა, სჯიდა ბავშვებს" [ფეხბურთელი ქალი].*

კვლევაში მონაწილე ქალი სპორტსმენები ასაკთან ერთად გამოყოფენ კიდევ ერთ რისკ-ფაქტორს, როგორიცაა ფემინურობა. მათი თქმით, განსაკუთრებით ის ქალი სპორტსმენები ხდებიან სექსუალური შევიწროების მსხვერპლები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მაგალითად კაბების ჩაცმას და ვინც უფრო ფემინურად გამოიყურება.

> *,,პატარები და ვინც უფრო ქალურად გამოიყურებოდა. მაგალითად, ხომ არიან ბიჭურად რომ აცვიათ უფრო, ძირითადად მაგათთან არ ქონდა ასეთი დამოკიდებულება, ვინც უფრო კაბებს ვიცვამდით, უფრო ამათთან" [ფეხბურთელი ქალი].*
>
> *,,ჩემთან არ ქონია სექსუალური შევიწროების შემთხვევები, რადგან უფრო ფემინური არ ვიყავი. მე მეუბნებოდა ხოლმე, რომ მეგობრები გამაცანი შენი მეგობრებიო, მთხოვდა ხოლმე. ჩემი დახმარებით უნდოდა გოგოების გაცნობა. დამეხმარე და მეც დაგეხმარებიო. მე არ ვაცნობდი და მერე მეუბნებოდა, რომ ერთი რაღაც გთხოვე და არ*

[9] Anne Marie Burke, Raising the Bar: Increasing Protection for Athletes in the Olympic Movement from Sexual Harassment and Abuse, Journal of Legal Aspects of Sport, 2021, 31, 60 – 93

შემისრულე და მე რატომ უნდა დაგეხმაროო. ყველანაირი გოგოს გაცნობას მთხოვდა, არაფეხბურთელი, ფეხბურთელი, ყველასი. თხებს გვეძახდა, აბუჩად გვიგდებდა, უზრდელურად გვესაუბრებოდა [ფეხბურთელი ქალი].

კვლევის შედეგების მიხედვით, სექსუალური შევიწროების ერთ-ერთ გავცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს კაცი მწვრთნელების მხრიდან ქალი სპორტსმენების გასახდელში უნებართვოდ შესვლა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში განსაკუთრებით მძიმდება გასახდელში უნებართვოდ ფოტოების გადაღების ფაქტით. კვლევაში მონაწილე ქალი სპორტსმენები აღნიშნავენ, რომ ეს ფაქტი მათთვის განსაკუთრებულად დამთრგუნველი იყო და დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამასთან, განსხვავებით სექსუალური შევიწროების სხვა ფორმებისა, მუდმივად ხდებოდა მათი მხრიდან აღნიშნულის გაპროტესტება, მაგრამ უშედეგოდ:

,,ბევრჯერ შემოსულა თამაშამდე, წელზემოთ ვიყავით ხოლმე შიშვლები, წელქვმოთაც. ჩვენ გვითქვამს, რომ გასულიყო და მერე გადიოდა. მაგრამ კვლავ იგივე მეორდებოდა შემდეგში" [ფეხბურთელი ქალი].

,,ერთხელ მახსოვს, რომ თქვა, რას დავინახავ ისეთს, რაც არ ვიციო. რა თქმა უნდა, ვის ესიამოვნება წელს ზემოთ რომ შიშველია და ვიღაც შემოდის" [ფეხბურთელი ქალი].

,,იყო დაუკითხავად გასახდელში შემოსვლა, თან გაფრთხილებული გვყავდა, რომ არ შემოსულიყვნენ. ესეც ცუდი მომენტია, ნახევრად შიშველი ხარ და გეუბნება, რომ რას აკეთებ ამდენი ხანი, რით ვერ გამოიცვალე და ა.შ." [ფეხბურთელი ქალი].

,,2-3 წლის წინ მქონდა დაპირისპირება დირექტორთან, ესენი პირდაპირ გვაყენებდნენ შეურაცხყოფებს, მარტო მე არა, ჩემს სპორტსმენებს. ითხოვდნენ ჩვენს გასახდელში შემოსვლას, შემოდიოდნენ, უფროსობა იყვნენ და შემოდიოდნენ, ბირჟაზე არჩევდნენ მერე ყველაფერს. რომ შემოვიდნენ, გასახდელში ლიფები ეკიდა და ამას განიხილავდნენ. ეს გაგრძელდა, იქ შემოვარდნა და ბავშვების მასხრად აგდება და დაცინვა, მერე სურათებს უღებდნენ გასახდელში" [ძიუდოს მწვრთნელი ქალი].

კვლევამ გამოავლინა სექსუალური შევიწროების კიდევ ერთი რისკ-ფაქტორი, როდესაც ქალი სპორტსმენები კაც მწვრთნელთან ერთად გადიან გასვლით შეხვედრებზე. სპორტში გენდერული ძალადობის თემაზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი კვლევა საუბრობს[10] რისკ-ფაქტორების შესახებ, რომლის მიხედვითაც ქალი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში არიან უფრო მეტად მოწყვლადები სექსუალური შევიწროების მიმართ, ვიდრე ქალები, რომლებიც თამაშობენ უფრო დაბალ საფეხურებზე. უამრავ გაზრდილ რისკს შორის, აღნიშნული კვლევა საუბრობს იმაზე, რომ სპორტსმენები უფრო მეტ დროს ატარებენ მწვრთნელებთან, ექიმებთან და ა.შ., რაც ზრდის მათ მიმართ სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის რისკს:

,,გოგოები ცალკე, მაგრამ სულ ამბობდა, რომ კარები არ დაგვეკეტა. ერთხელ იყო ასეთი შემთხვევაც, რომ დაკეტილი იყო კარები, რომ ვბანაობდით ხოლმე ვკეტავდით და ძალიან გვეჩხუბა, რატომ დაკეტეთო. მაგრამ ჩვენ მაინც ვკეტავდით" [ფეხბურთელი ქალი].

[10] Anne Marie Burke, Raising the Bar: Increasing Protection for Athletes in the Olympic Movement from Sexual Harassment and Abuse, Journal of Legal Aspects of Sport, 2021, 31, 60 – 93

,,შეიძლება შემოელო კარები უცებ, სალაპარაკოდ შემოსულიყო თუნდაც, მაგრამ უცებ გაუფრთხილებლად შემოდიოდა. როგორ ვიყავით ოთახში, მაგაზე არც კი ფიქრობდა [ფეხბურთელი ქალი].

,,ჩვენი ტრენერის მხრიდან იყო ხოლმე ხშირად შევიწროება. შეკრებებზე რომ ვიყავით, კარებს არ გვაკეტინებდა და შემოდიოდა უნებართვოდ, შემოდიოდა, როცა უნდოდა"

,,ერთი ფაქტი იყო ესეთი, ვიყავი გუნდი დარჩენილები, დავლიეთ, დავიძინე და თურმე ამ დროს მკერდზე მეხებოდა. ისე ვიყავით შეკრებილები, ჩამეძინა. მე რომ ჩამეძინა, ჩემმა გუნდელმა გაიგო მისი ადგომა, მოსულა და მკერდზე მეხებოდა და გამაღვიძა მან" [ფეხბურთელი ქალი].

სექსუალური შევიწროება - იძულება და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება

სექსუალური შევიწროება და ძალადობა სპორტში უმეტესად ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას უკავშირდება. ის უმეტესად მოიცავს სპორტსმენებით მანიპულაციას მწვრთნელებისა და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან.[11]

კვლევაში მონაწილე სექსუალური შევიწროების მსხვერპლი სპორტსმენი ქალის თქმით, სექსუალურ შევიწროებასთან ერთად მწვრთნელის მხრიდან ხშირი იყო იძულება და საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. მისი თქმით, მწვრთნელი ცდილობდა მის კონტროლს, რომ სხვა გოგოებისთვის არ გაეზიარებინა თავისი გამოცდილება. განსაკუთრებით ისეთი გოგოებთან უკრძალავდა კონტაქტს, რომლებიც ასაკით დიდები იყვნენ. იმ შემთხვევაში, თუ არ დაემორჩილებოდა მწვრთნელის მოთხოვნას, მწვრთნელი მას სხვადასხვა ფორმით სჯიდა. მაგალითად, გავრცელებული პრაქტიკა იყო როგორც მის მიმართ, ისე სხვა გოგოების მიმართ, თამაშიდან მოხსნა, გასვლით შეხვედრაზე არწაყვანა, წინსვლაში ხელის შეშლა:

,,ნაკრებში გამომიძახეს, მაგრამ არცერთი თამაში არ მათამაშეს შემდეგ. წინა წლებში თუ სასტარტო შემადგენლობაში ვიყავი, ახლა აღარ მათამაშეს. მიზეზი იყო ჩემი მწვრთნელი, რადგან დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც მწვრთნელებზე, ისე მსაჯებზე. ნაკრების მწვრთნელმა უკვე ბოლო ერთ წუთზე მითხრა შედიო, მაგრამ ამაზე უარი ვთქვი, რადგან ძალიან დამამცირებელი იყო" [ფეხბურთელი ქალი].

,,თუ ჩვენს მწვრთნელს რაღაც არ მოეწონებოდა, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, რომ მეტყოდა, რომ ამასთან სახლში არ მიხვიდე და მე მივიდოდი და ამას გაიგებდა, გვსჯიდა ყველას, იცოდა ჩემმა მწვრთნელმა, რომ ერთმანეთს ყველაფერს ვეუბნებოდით, ეს არ მოწონდა. სულ იმას ამბობდა, რომ ის გოგო იყო ძალიან ჭკვიანი და შეეძლო მის წინააღმდეგ განვეწყე" [ფეხბურთელი ქალი].

,,ჩემს პირად ცხოვრებაში ერეოდა. ზოგადად ამას ხშირად აკეთებდა გუნდში. თუ რამე არ მოეწონებოდა ვინმეში, არ დაემორჩილებოდა, თამაშზე არ შეიყვანდა, ზამენაზე (შეცვლაზე) დასვამდა. ზოგჯერ იყო მომენტი, რომ თამაშზეც კი არ წამოუყვანია.

[11] Protecting Children from Violence in Sport, UNICEF, 2010

ერთხელ დასვენება რომ გვქონდა და მე იმ გოგოსთან წავედი სოფელში, დამსაჯა და არ წამიყვანა ბათუმში თამაშზე [ფეხბურთელი ქალი].

,,ერთი შემთხვევა იყო კიდე, რესტორანში ვიყავით ბავშვები, ცოტა დავლიეთ და ბავშვებმა თქვეს, რომ რესტორნის მერე იმ გოგოსთან უნდა წავსულიყავით სახლში. მე არ მიფიქრია, რომ ის მწვრთნელი რამეს იტყოდა და ამიტომ მეც ვთქვი, რომ წავიდოდი. თუმცა, მერე ისე მოხდა, რომ სახლიდან დამირეკეს, პატარა და მყავს და აუცილებლად სახლში უნდა წავსულიყავი და მე ველარ წავედი. ამის მერე დამირეკა და მითხრა, რომ ძალიან ჭკვიანურად მოიქეცი, რომ არ წავედი, რადგან რომ წასულიყავი იქ, უკვე გადაწყვეტილი იყო რომ გუნდიდან გამეშვიო [ფეხბურთელი ქალი].

სექსუალური შევიწროება - ფიზიკური

სექსუალური შევიწროების მეორე ფორმა, რომელიც კვლევის დროს გამოიკვეთა, როგორც გავრცელებული პრაქტიკა, არის ფიზიკური ფორმით გამოხატული სექსუალური შევიწროება:

,,ერთხელ გავაკეთე კარგი მომენტი და თავზე გადამისვა რაღაცნაირად ხელი ვარჯიშის დროს. ძაან ცუდად არ მიგვრძნია თავი, მაგრამ მაინც არ მესიამოვნა და ისეთ სიტუაციაში ჩავაყენე, რომ მეორედ აღარ გაეკეთებინა. მაინც არ მესიამოვნა" [ფეხბურთელი ქალი].

,,ხელის გადახვევა იცოდა ხშირად და მკერდზე შეხება. პირადად ჩემთან არ ქონია მკერდზე შეხების მაგალითი, მაგრამ სხვებზე დამინახავს" [ფეხბურთელი ქალი].

,,ხელით შეხებაც ყოფილა. ჩემთან არ ყოფილა, მაგრამ ყოფილა ჩემი გუნდელების შემთხვევაში, ჩემს თვალწინ და ძალიან არასასიამოვნო იყო ხოლმე, ეს ჩვეულებრივი შეიძლება იყოს როცა ქალია მწვრთნელი, მაგრამ როცა კაცი ხარ, უფრო სხვანაირი დამოკიდებულება იყოს [ფეხბურთელი ქალი].

,,ერთი ადგილი მტკიოდა ერთხელ ფეხზე, ტრავმა მივიღე, კუნთი მტკივა და კუნთს აყოლია და აქაც ხომ არ გტკივა და რაღაც არასასიამოვნო რომ არის უკვე და ისეთ ადგილას გეხება, ასეთები ყოფილა. ყოფილა გასახდელში შემოსვლა უნებართვოდ და როცა ვაპროტესტებდით, რა გაქვს ისეთი, რაც სხვას არა აქვს, ან რას დავინახავ, რაც არ დამინახავს" [ფეხბურთელი ქალი].

,,ერთხელ იყო, გოგოს უკბინა ფუტკარმა და სახეზე აკოცა და უთხრა, რომ გაგივლისო. არ გვესიამოვნა არავის [ფეხბურთელი ქალი].

კვლევაში მონაწილე ქალი სპორტსმენების თქმით, სექსუალური შევიწროების მომატებული რისკია ისეთი სპორტის სახეობების შემთხვევაში, სადაც პირისპირ მარტო რჩები მწვრთნელთან. ამ დროს, უფრო იზრდება ფიზიკური ფორმით გამოხატული სექსუალური შევიწროების რისკიც:

,,ფარიკაობაზე დავდიოდი. პატარა ვიყავი მაშინ და მერე გავიაზრე, მაშინ ვერ მივხვდი კარგად. ფარიკაობაზე ინდივიდუალურად გავარჯიშებს მწვრთნელი, ერთ ოთახში ხარ, ერთ საათიანი, საათნახევარიანი ვარჯიშები იყო ხოლმე. 13 წლის ვიყავი,

მკერდზეც კი მოუკიდებია ხელი. კი არ გამოვსულვარ, მარტო თავი დამანებე თქო მითქვამს და გამიგრძელებია ვარჯიში“ [მოფარიკავე ქალი].

სექსუალური შევიწროება - ვერბალური

კვლევის შედეგების მიხედვით, ვერბალური ფორმით გამოხატული სექსუალური შევიწროება ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა სპორტში ქალების მიმართ. შედეგებმა აჩვენა, რომ ვერბალური ფორმით გამოხატული სექსუალური შევიწროების დროს ძირითადად ხდებოდა გარეგნობაზე ხაზგასმა სექსუალური შინაარსის კომენტარებით, რაც მათთვის დიდ დისკომფორტს იწვევდა:

,,ჩემთვის არა, მაგრამ გუნდელისთვის უთქვამს ჩემთან ერთად, რა კარგად გამოიყურები, როგორ გიხდება კაბა და ასეთები“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ასეთი რაღაც უთხრა ჩემს გუნდელს, დიდი რომ ყოფილიყავი, ჩემი შეყვარებული იქნებოდიო, თმები ქონდა გასწორებული ამ გოგოს“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ძირითადად ჩემზე და მეორე გოგოზე საუბარი, რომ ვიყავით ძალიან ლამაზები. ჩემი ერთი გუნდელისთვის ჩემზე უთქვამს, რომ ძალიან მაგარი ქალიაო. ვარჯიშის დროს, სულ ჩვენზე ამახვილებდა ყურადღებას, ჩვენს საჯდომზე. პირადად ჩვენთან არა, გუნდელებს ეუბნებოდა. ჩემთან სხვის საჯდომზე გაუმახვილებია ყურადღება. ერთ ფეხბურთელს ეუბნებოდა, რომ უკანალი ჩამოგეწევა თუ არ ივარჯიშებ, მერეზე ამბობდა, რომ კარგად დაყენებული უკანალი აქვსო. მაგრამ ძირითადად მე და ჩემი მეგობარი ვიყავით ამის ობიექტები“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ფოტოებზეც იყო. ფოტოს რომ ნახავდა, სადაც ლამაზად ვიყავით, სულ ამბობდა, რომ რა ლამაზი ხარ, კაბა გიხდება. მე მეუბნებოდა, რომ შენ ისე არ გეტყობა და აი მეორე ჩემს მეგობარზე ამბობდა, რომ იმას უფრო მკვეთრად აქვს სხეულის ფორმები გამოხატული და უფრო უხდებაო“ [ფეხბურთელი ქალი].

,,უარყოფითი იყო ის, რომ არ მომწონდა ჩემი ტრენერის რეპლიკები, გამოხატული იყო რომ ქალები ვიყავით და სექსუალური ხასიათის იყო. მაგალითად, ცოტა გამომწვევად გეცვა, მაგაზე აკეთებდა რეპლიკებს. მე ერთ-ერთ ვარჯიშზე, თასმას ვიკრავდი და მაშინ მითხრა, რომ ფრთხილად იყავი, ეგ ბუცი არ შეგივარდეს. ასეთი რეპლიკები ხშირი იყო“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ჩემი მეგობრების მიმართ იყო ხოლმე, რა მაგარი კაბა გეცვა გუშინ, რა ნაშა იყავი“ [ფეხბურთელი ქალი].

,,როგორი სექსუალური უკანალი გაქვს, რომელიც საერთოდ არ ეხება ფეხბურთს, რა კარგი ძუძუები გაქვს. ყველას თანდასწრებით ხდებოდა ამის თქმა, როგორი სექსუალურად გამოიყურები“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ჩემთან არა, მაგრამ სხვებისთვის უთქვამთ, რა კარგი ტრაკი გაქვს, რა კარგი დაყენებული ტრაკი გაქვს“ [ფეხბურთელი ქალი].

,,იყო საჯდომთან დაკავშირებული კომენტარები მწვრთნელის მხრიდან, მკერდთან დაკავშირებით. ზუსტად სიტყვები არ მახსოვს, მაგრამ გოგოების მისამართით იყო ხოლმე მიმართვები“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ვარჯიშის დროს, კონუსზე უნდა დავმსხდარიყავით და მე თავიდანვე გამზადებთო. თვითონ ფიქრობდა, რომ გაგვეცინებოდა, მაგრამ არ იყო ეს სასაცილო, ღადაობდა, მაგრამ არანაირი ღადაობა არაა ეს“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ვარჯიშის პერიოდში იყო ასეთი შემთხვევა. კონუსი არის წაწვეტებული თავი აქვს, უნდა გავქცეულიყავით, საჯდომი დაგვედო ზედ და უკან გამოვქცეულიყავით. საიდან მოიტანა ეს ვარჯიში არ ვიცით. ასეთი უხერხული ვარჯიში იყო. მე ვერ ვაკეთებდი ამ ვარჯიშს ერთხელ, ცუდად ვიყავი და იმიტომ და მე ვერ გავიგე, მაგრამ როცა ვთქვი, მე ამას ვერ გავაკეთებდი, მოუმახეგია, მთავარია სხვა რამეს არ დააჯდეო. ექვსი წელია ვთამაშობ და მსგავსი ვარჯიში არ ყოფილა, ასეთი უხერხული ვარჯიში. არავინ გააკეთებს მგონი სხვა“ [ფეხბურთელი ქალი].

სექსუალური შევიწროება - მტრული გარემოს შექმნა

საერთაშორისო ლიტერატურაში სპორტსმენი ქალებისათვის მტრული გარემოს შექმნა სექსუალური შევიწროების კონტექსტში, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმაა. მისთვის დამახასიათებელია იძულებით პორნოგრაფიული ვიდეოების ყურება. საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოს შემთხვევაშიც გავრცელებულია ქალი სპორტსმენების მიმართ მწვრთნელების მხრიდან მტრული გარემოს შექმნა, რომელიც გარდა პორნოგრაფიული ნაწარმოებების ყურებისა, ასევე მოიცავს შემთხვევებს, როდესაც მწვრთნელი სპორტსმენების თანდასწრებით მასტურბირებს და ბავშვებს შიშველი სურათების გაგზავნას სთხოვს:

,,კი, მე და ჩემს მეგობარს პორნო ვიდეო გვაყურებინა მის სახლში. ჩემპიონატი იწყებოდა და გვითხრა, რომ რაღაც თამაში უნდა გვეთამაშა და არ ვიცოდით მაშინ რაღაც კონკრეტული წესი თამაშის და გვითხრა, რომ მე მაქვს სახლში და უნდა გაყურებინოთო, გაჩვენოთ როგორ კეთდებაო. თავიდან გვქონდა ძალიან კარგი ურთიერთობა და ჩვენც წავედით. ჩვენ ვიცოდით, რომ იქედან ჩემს მეგობართან უნდა წავეყვანეთ სახლში, მაგრამ ისე მოხდა, რომ აღარ წაგვიყვანა და იქ დავრჩით. რომ მივედით, გამოიტანა სამი ჭიქა და ერთი ბოთლი არაყი დავლიოთო. ჩვენ არ დავლიეთ, თვითონ დალია სამი ჭიქა. არაფერი გვაყურებინა ფეხბურთზე, ზოგადად ვლაპარაკობდით. უკვე დაწოლის დრო რომ იყო, დავწექით, წელ ზემოთ შიშველი იყო, თავთან დაუჯდა ასე ჩემს მეგობარს. დაიწყო არხების ჩვენება და გაჩერდა პორნოგრაფიულ ვიდეოზე, გვეგონა რომ გადართავდა, მაგრამ რომ გააჩერა, წამოვდექი და რეებს გვაყურებინებ თქო. მერე მითხრა, რომ ამას უნდა უყურო უკეთესს რას უყურებო. მერე რომ ძაან გავბრაზდით, გავიდა. მთელი ღამე არ გვეძინა, გვეგონა რომ შემოვიდოდა ოთახში. სახლში ვერ წავედით, ძალიან გვიანი იყო შორს ვიყავით და ვერ წავედით. დიდად კარგად ვერც გავაცნობიერეთ რა მოხდა. ამის მერე აღარ მივდიოდით მის სახლში. ეს ამბავი მაშინვე არავისთვის გვითქვამს“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ერთხელ მარშუტკაში ვიყავით, შარვალში ხელი ქონდა ჩაყოფილი და ხელის მოძრაობები დავინახე. ძალიან შემრცხვა და მივტრიალდი, მაშინ ვერაფერი ვთქვი“ [ფეხბურთელი ქალი].

,,მე მწვრთნელთან ერთად ვცხოვრობდი, წასასვლელი არ მქონდა და მხოლოდ ტრუსიკით დადიოდა. ოთახში შემოდიოდა უნებართვოდ, როცა ლოგინში ვიწექი, შიშველი იყო და მხოლოდ ტრუსიკი ეცვა. ამის მერე წამოვედი და გუნდელთან ვცხოვრობ [ფეხბურთელი ქალი].

,,მენსტრუაციასთან დაკავშირებით გაცდენების დროს აჟიოტაჟი ხდებოდა, გვაყენებდა ცხრილი უნდა მითხრათ, როდის მოგდით, უნდა ვიცოდე და ა.შ“ [ფეხბურთელი ქალი].

,,თბილისში წავსულვართ ერთად შეჯიბრებაზე, ერთ ოთახში ვყოფილვართ, გამეღვიძა და დავინახე პორნოებს რომ უყურებდა ჩემი თანდასწრებით“ [მოფარიკავე ქალი].

,,ახალგაზრდა მწვრთნელი მყავდა, მისგან იყო ხოლმე მიმოწერები გოგოებთან, აბა პრესი როგორ გაქვს, ფოტო გადაიღე და გამომიგზავნე [ფეხბურთელი ქალი].

სპორტში ქალების მიმართ სექსუალური შევიწროების შედეგები

სპორტში ქალების მიმართ ძალადობა და სექსუალური შევიწროება გარდა იმისა, რომ უარყოფითად აისახება ქალების როგორც ფსიქიკურ, ისე სომატურ ჯანმრთელობაზე, იწვევს სპორტიდან ქალების გადინებას და მთავარი მიზნის, სპორტში გენდერული თანასწორობის მიღწევას ართულებს. კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობრივი გარემოსგან თავის დაღწევის საშუალებად საქართველოს შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, გავრცელებულია სპორტისთვის თავის დანებება:

,,25 ბავშვი გვყავდა და 5-6 ბავშვი შემოგვრჩა ამის გამო. ჩემთან ერთად იბრძოდნენ ესენიც, დიდები იყვნენ უკვე“ [ძიუდოს მწვრთნელი ქალი].

,,ყოფილა შემთხვევები, რომ წასულან გოგოები სპორტიდან. ზოგიერთისთვის დამამცირებელია და ვერ იტანს. თან ისიც არის, რომ სწორი აღქმა არის მნიშვნელოვანი, მართლა ვიჯერებთ, რომ კაცების სპორტია და მერე რომ ვიაზრებთ, რომ შეიძლება ყველაფერი იყოს სხვანაირი, ქალებიც მეტი ვიყოთ“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ბავშვები მოყავდა საცხოვრებლიდან, მიტოვებული ბავშვების საცხოვრებლიდან კლუბში. ბევრი წავიდა მალე და რატომ, რა მოხდა არ ვიცი ზუსტად. ვიცი, რომ რაღაც დანაშაულები ქონდა ამ ბავშვების მიმართ, მაგრამ ზუსტად რა, არ ვიცი“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ერთი ფაქტი იყო, კონფლიქტი მოუვიდა ერთ გოგოს და მწვრთნელმა უთხრა, ძუძუზე ხელს თუ მომაკიდებინებ, დაგტოვებო. იმ გოგომ რა თქმა უნდა უარი უთხრა და წავიდა. ამაზე არაფერი ვიცოდით მაშინ, მოგვიანებით გავიგეთ“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ერთი შემთხვევა იყო, ზბორზე რომ ვიყავით თბილისში, ერთ-ერთი ფეხბურთელი წავიდა იმიტომ, რომ მწვრთბელი ხელებს უფათურებდა. იმის მერე ის გოგო არ დაბრუნებულა" [ფეხბურთელი ქალი].

კვლევები ადასტურებს, რომ სექსუალური შევიწროება და ძალადობა სპორტში სერიოზულ უარყოფით შედეგებს იწვევს სპორტსმენების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. კერძოდ, ძალადობის სხვადასხვა ფორმამ შეიძლება გამოიწვიოს სპორტსმენების თამაშის ხარისხის დაქვეითება და საერთოდ სპორტიდან წასვლა. კლინიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები, აღგზნება, დეპრესია, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, თვითდაზიანება და სუიციდი არის ის სერიოზული პრობლემები, რასაც იწვევს სექსუალური ძალადობის შემთხვევები სპორტში[12]. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ასევე უთითებენ მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესზე, რომელსაც იწვევდა მათი ან მათი გუნდელების მიმართ განხორციელებული შევიწროების ფაქტები:

,,ეს ყველაფერი უფრო ჩემი გუნდელების მიმართ ხდებოდა. ვერ გეტყვით, რატომ. ზოგჯერ იყო, რომ ამოიჩემებდა და გადაეკიდებოდა, სულ იმას ეჩხუბებოდა. დასჯის ფორმებიც იყო, თამაშის პროცესში დამუქრებები იყო, მოხვალ რასაც გიზამ და ასეთი ფრაზები. შიშს დაძაბულობას, ნერვიულობას იწვევდა ასეთი დამოკიდებულება. ზოგის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, ლაპარაკი იყო, რომ ფსიქოლოგი ჭირდებოდათ, მივიდნენ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იყო ხშირად ამაზე საუბარი ამ დაძაბული გარემოს გამო" [ფეხბურთელი ქალი].

სახელმწიფოს ვალდებულებები სპორტში ქალების შევიწროების პრევენციის და რეაგირების მიმართულებით

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში ქალ სპორტსმენებს არავინ ესაუბრება ძალადობისა და სექსუალური შევიწროების საკითხზე. შესაბამისად, ისინი სრულიად მოუმზადებლები ხვდებიან მათ მიმართ განხორციელებულ ნებისმიერი ძალადობის ფაქტს. რესპონდენტები პირდაპირ უთითებენ, რომ მათ ძალიან გვიან გააცნობიერებს, რომ მათ მიმართ ხორციელდებოდა სექსუალური შევიწროება და კლუბის მხრიდან არ ხდებოდა ამაზე მათი წინასწარი მომზადება, რაიმე ფორმით ინფორმაციის მიწოდება. შესაბამისად, სექსუალური შევიწროების ფორმებმა უფრო მასშტაბური სახე მიიღო:

,,თავიდან ისეთი ურთიერთობა გვქონდა მწვრთნელთან, რომ ვერ აღვიქვამდით, რომ ეს იყო სექსუალური შევიწროება, უბრალოდ არასასიამოვნო ფაქტი იყო. მერე და მერე თავს უხერხულად ვგრძნობდით ყველა" [ფეხბურთელი ქალი].

,,პირადად მე არ ვიცოდი, რომ ეს შევიწროება იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ გავუზიარე სხვებს და განვიხილეთ ეს შემთხვევები, ამის მერე მივხვდი, რომ ეს იყო სექსუალური შევიწროება" [ფეხბურთელი ქალი].

,,თავიდან ინფორმირებულები არ ვიყავით, როცა გავიგეთ უკვე და გავარკვიეთ, უკვე მერე დავუკავშირდით ადვოკატებს" [ფეხბურთელი ქალი].

[12] Canadian Academy of Sport and Exercise Medicine Position Paper: Abuse, Harassment, and Bullying in Sport, Clin J Sport Med Volume 21, Number 5, September 2011

,,სადაც ეს ამბები ხდებოდა, იქედან არავინ მოგვაწვდიდა ინფორმაციას, ადმინისტრაცია, მწვრთნელი ერთად იყვნენ შეკრულები და არავინ გვეტყოდა ამაზე. როცა იქედან წამოვედით, მერე გავიგეთ, რასთან გვქონდა საქმე“ [ფეხბურთელი ქალი].

,,პატარები რომ ვიყავით, უფრო გამოუცდელები ვიყავით, არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა. თან ახლა რომ ვუყურებ, როგორ ცდილობს სისტემა გადაარჩინოს, მხოლოდ ფული გადაახდევინოს და სხვა არაფერი, ეტყობა მაგის გვეშინოდა, რომ არაფერი რეაგირება არ ექნებოდა“ [ფეხბურთელი ქალი].

სექსუალური შევიწროების შესახებ ინფორმირებულობის გარდა, ასევე საკვლევ საკითხს წარმოადგენდა, რამდენად ფლობენ ქალი სპორტსმენები ინფორმაციას სექსუალური შევიწროების შესახებ გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. კითხვაზე, იციან თუ არა, დღეს ვის შეიძლება მიმართონ, თუკი მოხდება მათ მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტი, მონაწილეთა უმეტესობას არა აქვს ინფორმაცია.

,,არა, ნამდვილად არ ვიცი, ვის უნდა მივმართო, ალბათ ადვოკატს ისევ?“ [ფეხბურთელი ქალი].

,,არა. ერთადერთი გვაქვს ეს ინფორმაცია ვისთანაც გავიარეთ კონსულტაცია. ეგეც გუნდიდან მაქვს ინფორმაცია, ვისთვის მიმემართა ადვოკატისთვის“ [ფეხბურთელი ქალი].

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ერთ-ერთი პირველი, რომელიც სპორტში ქალების მიმართ სექსუალური შევიწროების პრევენციის მიმართულებით უნდა გაკეთდეს, არის კაცი მწვრთნელების ინფორმირება ქალი სპორტსმენების საჭიროებების, მათთან კომუნიკაციის ფორმებისა და სექსუალური შევიწროების შესახებ. სპორტში სექსუალური ძალადობის თემაზე ჩატარებული კვლევების უმეტესობა ხაზს უსვამს, რომ სექსუალური ძალადობა სპორტში უმეტესად ხორციელდება კაცი მწვრთნელების მიერ და მსხვერპლი უმეტესად არის პატარა ასაკის ქალი სპორტსმენი[13]:

,,მწვრთნელები უნდა იყვნენ რაღაც დონეზე მეგობრულები, მაგრამ რაღაც ზღვარი უნდა იყოს აუცილებლად. როგორც ფეხბურთელი და მწვრთნელი, ისე უნდა ვიყოთ, მე ვმუშაობ, კონტრაქტი მაქვს, ფულს მიხდიან და აი როგორც შენ მუშაობ და გექცევიან, ისე უნდა მექცეოდნენ. შეიძლება ვარჯიშის დროს იყოს მეგობრული დიალოგი, მაგრამ რაღაც ზღვარი უნდა იყოს ამ ნაწილში, უფრო ვარჯიშს უნდა აქცევდეს ყურადღებას“ [ფეხბურთელი ქალი].

,,ყველაზე მთავარი არის მწვრთნელების დამოკიდებულება. ამის გარეშე არაფერი იქნება კარგად. ყველაფერი მერე უკვე ჩვენზე არის დამოკიდებულები. კაცი მწვრთნელები იმაზე უნდა ფიქრობდნენ, როგორ მოექცნენ ქალ ფეხბურთელებს“ [ფეხბურთელი ქალი].

[13] Protecting Children from Violence in Sport, UNICEF, 2010

,,ისეთი მწვრთნელი უნდა იყოს, რომ გოგოებს შიში არ ქონდეთ, რომ ახლა რაღაც მოხდება, ხელს ჩამოართმევს და იმას არ ფიქრობდეს, ხელი რატომ დამადო. ქალთა ფეხბურთს მეტი ყურადღება ექცეოდეს" [ფეხბურთელი ქალი].

,,პირველ რიგში უნდა გატარდეს ის ღონისძიებები, იცოდნენ ყველანაირი ინფორმაცია სექსუალურ შევიწროებაზე ტრენერებიც ბავშვების უნდა დატრენინგდნენ" [ფეხბურთელი ქალი].

კვლევაში მონაწილე ქალი სპორტსმენების მოსაზრებით, სპორტში ქალების მიმართ სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად განსაკუთრებული როლი აქვთ ფედერაციებს. 2003 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ქალები სპორტში (2002/2280(INI)[14]. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებსა და სპორტულ ფედერაციებს ეფექტური მექანიზმების შექმნისკენ, რათა წარმატებულად ებრძოლონ სპორტში სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობას (მუხლი 40).

2015 წლიდან ავსტრიის ფედერაციის სპორტისა და თავდაცვის სამინისტრომ შექმნა სამუშაო ჯგუფი სპორტული ორგანიზაციების, მსხვერპლთა მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობით და მოამზადა სპორტში გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა[15]. 2011 წელს დანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის ფედერაციამ შექმნეს სისტემა, რომელიც ახდენს დამნაშავეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. აღნიშნული სისტემა აღიარებულია მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ. მონაცემები შეიცავს ინფორმაციას ადამიანზე, რომლის მიმართაც მოხდა დისციპლინური წარმოება. მონაცემებზე წვდომა აქვს მხოლოდ ავტორიზებულ პირებს სპორტის ფედერაციებიდან[16]. გენდერულ ძალადობაზე, მათ შორის სექსუალურ შევიწროებაზე საგანმანათლებლო რესურსების მომზადება იყო ასევე წამყვანი მიმართულება ფინეთში, ფინეთის სპორტის ფედერაციის ორგანიზებით. ფინეთის სპორტის ფედერაციის მიერ შემუშავებულია ცნობიერების ამაღლების სახელმძღვანელო სპორტში სექსუალური ძალადობის თემაზე[17], რომელიც იძლევა მნიშვნელოვან სახელმძღვანელო მითითებებს ბავშვებთან მომუშავე უფროსებისთვის. დოკუმენტი ასევე ცალკე გამოყოფს როგორ უნდა იმართოს ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევები. რესპონდენტების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია სწორედ მსგავსი მექანიზმების ამოქმედება ქვეყანაში სპორტში სექსუალური შევიწროების შემთხვევების შესამცირებლად:

,,არაფერი მსგავსი. თუმცა, უშუალო ურთიერთობა სულ მაქვს პრეზიდენტთან, იმათმაც იცოდნენ, რომ ასეთ დღეში ვიყავი, მეხვეწებოდნენ, რომ გამაგრდით, შეიცვლება რამე, მაგრამ სხვა არაფერი. რომ ჩარეულიყვნენ, ალბათ უფრო უმტკივნეულო იქნებოდა და თავისი სახელი დაერქმეოდა ყველაფერს" [ძიუდოს მწვრთნელი ქალი].

,,კი ძალიან მნიშვნელოვანია. თავს დაუცველად ვგრძნობ, მერე რა რომ ძიუდოისტები ვართ. რამე უნდა იყოს, რომ ბავშვს შეეძლოს ასეთ დროს მისვლა, გასაუბრება, ქალი

[14] The European Parliament (2002). Resolution on Women and Sport

[15] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016

[16] იქვე

[17] Allowed to Care, Allowed to Intervene' (FSF 2002/2011)

მწვრთნელებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. კარგი იქნება, თანაბარ პირობებში რომ ვყოფილიყავით" [ძიუდოს მწვრთნელი ქალი].

,,მაშინ შემაკავებელი ორდერიც გამოუწერეს ჩემს დირექტორს ჩემზე ძალადობის გამო. იმ პოზიციებზე აღარ, მაგრამ მანდ არიან ისევ და ხელფასს იღებენ. დირექტორი და მოადგილე აღარ არიან" [ძიუდოს მწვრთნელი ქალი].

,,ფედერაცია აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში. მას უნდა ადარდებდეს, რომ არ დაკარგოს ქალი სპორტსმენები, რადგან ბევრმა დატოვა ფეხბურთი ამის გამო" [ფეხბურთელი ქალი].

ქალი სპორტსმენების მოსაზრებით, ფედერაციების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ ერთიანი რეგულაციების შემუშავების მიმართულებით, რა დროსაც ასევე გათვალისწინებული იქნება ბავშვების საჭიროებები. ასევე, მნიშვნელოვან თემად დასახელდა სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმის არსებობა, რომელიც შეიძლება ლიცენზიის შეჩერებას ან შეწყვეტას ითვალისწინებდეს:

,,არანაირი რეგულაცია არ გვაქვს კლუბში და ზოგადად ჩვენს სპორტში, როგორ უნდა იქცეოდეს მწვრთნელი, როგორ უნდა მოიქცე შენ. პროფესიონალი მწვრთნელების ნაკლებობაა ზოგადად. გარდა იმისა, რომ უნდა ჰქონდეს პროფესიული ცოდნა, უნდა იცოდეს ასაკის სქესის მიხედვით მიდგომა. ყველას ჭირდება სხვანაირი მიდგომა. ადრე თუ იყო რომ ყველა ერთად ვიყავით ხოლმე, ჩემს გუნდში არიან პატარები. აქედანვე რომ იყოს, რომ სწორად რომ იყოს ბავშვებთან საუბარი, სწორი სწავლება, ამაზე ცალკე უნდა იყოს კონკრეტული პიროვნება გამოყოფილი. ესეც უნდა იცოდე, როგორ მიუდგე ბავშვს, როგორ შეუქმნა უსაფრთხო გარემო. ტრენინგები უნდა იყოს მაგალითად იმაზე, როგორ უნდა მიიტანოს რაღაც შენიშვნა ბავშვამდე, ნერვიული არ უნდა იყოს. ეს იქნება სწორი მიდგომა ჩემი აზრით. აქედან წამოვა უკვე ნორმალური მიდგომები" [ფეხბურთელი ქალი].

,,ალბათ სათანადოდ უნდა დაისაჯოს ყველა, ჩამოერთვას ლიცენზია. ამას ვემხრობი მე პირადად" [ფეხბურთელი ქალი].

,,ჩემი აზრით სადაც გოგოები არიან, საჭიროა იყოს ფსიქოლოგი, ვისთანაც გაიხსნები და მოყვები ასეთი ფაქტების შესახებ" [ფეხბურთელი ქალი].

საერთაშორისო პრაქტიკაში არაერთი ინიციატივაა, რომელიც სწორედ ამ მიმართულებით სპორტული ორგანიზაციების მუშაობის მიმართულებაზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, 2008 წელს ევროპარლამენტმა მიიღო სპეციალური დოკუმენტი სპორტთან დაკავშირებით (White Paper on Sport[18]). დოკუმენტი საუბრობს მიდგომის მნიშვნელობაზე, რომელიც ეროვნულ და ევროპის დონეზე ლიცენზიის სისტემის შემოღებას ითვალისწინებს კლუბებისთვის, რომელთა რეგულაციები მოიცავს ძალადობის პრევენციის, უმცირესობების დაცვისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას (მუხლი 69). სლოვენიის ოლიმპიური კომიტეტი უფლებას აძლევს კომიტეტს ლიცენზია ჩამოართვას პროფესიონალს, რომელიც არღვევს მის ეთიკურ პრინციპებსა და ღირებულებებს, მათ შორის თუ ის

[18] The European Parliament (2008). White Paper on Sport

დადანაშაულებული იქნება გენდერული ძალადობის ჩადენაში[19]. სპორტში გენდერული ძალადობის პრევენცია უნდა მოიცავდეს აუცილებლად მწვრთნელების განათლებასა და მათთვის საკვალიფიკაციო კურსების მიწოდებას, სავალდებულო ტრენინგებზე დასწრებას, რომელიც უნდა იყოს ლიცენზიის მიღების და/ან განახლების წინაპირობა. ეს მიდგომა გამოყენებული უნდა იყოს როგორც დასაქმებული, ისე მოხალისე მწვრთნელების შემთხვევაში[20].

კვლევამ გამოავლინა, რომ ყველა სპორტის სახეობაში, განსაკუთრებით კი კაცებით დომინანტურ სპორტში, მნიშვნელოვანია სპორტულ ორგანიზაციაში ქალი თანამშრომლის ყოლა, რომელსაც შეიძლება ეკავოს ექიმის, მწვრთნელის, ფსიქოლოგის და ა.შ. პოზიცია.

> *,,მოხარული ვიქნები, თუ ყველა კლუბს ერთი ქალი მაინც ეყოლება ან ექიმი, ან ტრენერი. უნდა იყოს ერთი ქალი, რომ იმას ელაპარაკო. არის ისეთი ფაქტორები, რომ ერთი ქალი მაინც უნდა იყოს ადმინისტრაციაში, რომ იმან მოაგვაროს ეს პრობლემები [ფეხბურთელი ქალი].*
>
> *,,მეტი ქალი უნდა იყოს გუნდში, თუნდაც ერთი ქალი, რომ გაუზიარო არასასიამოვნო შეგრძნება ისეთი ოღონდ, ვისაც ექნება რეაგირების უფლება და იგრძნობ მხარდაჭერას" [ფეხბურთელი ქალი].*
>
> *,,პირველ რიგში ქალებთან უნდა იმუშაოს ქალმა მწვრთნელმა, ქალი უნდა იყოს საქმეში, რომ რაღაცები გაუზიარო მას. მაგით ბევრი რაღაც დალაგდება" [ფეხბურთელი ქალი].*

სპორტში ქალების სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის მიზნით კვლევის მონაწილეების მოსაზრებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშობლების ჩართულობას და ამ მიზნით მათ ინფორმირებას:

> *,,მშობლების ჩართვაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, გვინდა არ გვინდა, პატარა ბავშვები რომ თამაშობენ, მშობლები უნდა იყვნენ აქტიურად ჩართულები თუნდაც ამ ძალადობის შემთხვევებზე" [ფეხბურთელი ქალი].*
>
> *,,მშობლების ინფორმირება ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, რომ ისინიც იყვნენ ჩართულები და მეტი ინიციატივა გამოეჩინათ და მის გვერდით იყვნენ, როცა ასეთი შემთხვევა მოხდება. მე მაგალითად, ვფიქრობდი რომ მეთქვა, მაგრამ უაზრობა იქნება თქო. როცა მშობელი ჩართული იქნება, ბავშვიც არ ჩაიკეტება. მე მაგალითად, მეგობრები დამეხმარნენ, თორე სხვაგან ვერ ვიტყოდი" [მოფარიკავე ქალი].*

მშობლების ინფორმირებულობის გაზრდის პარალელურად, კვლევამ გამოავლინა, რომ მნიშვნელოვანია უშუალოდ ქალი სპორტსმენების ცოდნის გაზრდა სექსუალური შევიწროების შესახებ, რაც აღნიშნულ თემაზე საჯაროდ საუბრის დაწყების წინაპირობა იქნება. სპორტში გენდერული ძალადობის პრევენციის მიზნით ინიციატივების კიდევ ერთი კატეგორიაა, ვებსაიტების საშუალებით სპორტის საზოგადოების, მათ შორის მშობლების ინფორმირება სპორტში გენდერული ძალადობის შესახებ და მათთვის მუდმივად

[19] Lut Mergaert, Catarina Arnaut, Tine Vertommen and Melanie Lang, Study of Gender-based Violence in Sport, European Commission, 2016
[20] იქვე

განახლებადი ინფორმაციის მიწოდება. ასეთი ვებსაიტების მაგალითებს შორის შეიძლება გამოიყოს პორტალი ,,თამაში წესებით"[21], რომელიც განვითარდა სამხრეთ ავსტრალიის სპორტისა და რეკრეაციის დეპარტამენტის მიერ, რათა მოხდეს ცნობიერების გაზრდა და შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა დაცვის, სექსუალური შევიწროებისა და ჰომოფობიის წინააღმდეგ. კანადაში, ბრიტანეთის კოლუმბიის მთავრობამ შექმნა პროგრამა ძალადობის პრევენცია სპორტში, რომელიც ონლაინ სთავაზობს ორგანიზაციებს ინფორმაციას როგორ გაუმკლავდნენ შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევებს, მათ შორის როგორ მოახდინონ ძალადობრივი სიტუაციების იდენტიფიცირება და ვის მიმართონ დახმარებისთვის. ის ასევე მოიცავს ინფორმაციას როგორ მოხდეს რეაგირება შევიწროებასა და ძალადობაზე. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სასარგებლო ინფორმაცია მშობლებისთვის, მწვრთნელებისთვის, მასწავლებლებისა და მოხალისეებისთვის[22].

> *,,უნდა ტარდებოდეს შეხვედრები და საუბრები გოგოებთან, სექსუალურ შევიწროებაზეც უნდა ესაუბრო, უფრო კარგი იქნებოდა მეტი გოგო იყოს მწვრთნელი, კლუბში იყოს ქალი რომელიმე პოზიციაზე" [ფეხბურთელი ქალი].*

> *,,ვისურვებდი, რომ ყველა ბავშვმა, როცა ასეთი რამე მოხდება, მაშინვე დააფიქსიროს ეს, არ შეეშინდეს არაფრის, არ მათამაშებს და რამეს დავაკლდები. ეს შიშები არ უნდა ქონდეს ბავშვს. აღარ უნდა იყოს შიში. ეს ინფორმაცია უნდა იყოს მისაწვდომი, ყველა ტრენერი გადამზადებული უნდა იყოს, რომ თვითონაც არ გააკეთოს ასეთი რამე, რომ თუნდაც ბავშვს ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენოს, ფედერაციამ უნდა გადაამზადოს ტრენერები, რომ ქალ სპორტსმენებს აღარ ქონდათ შიში, რომ ვიღაც შეავიწროებს იმის გამო, რომ ქალი არის. ბავშვებსაც უნდა ქონდეთ ინფორმაცია და ტრენერებიც უნდა იყვნენ გადამზადებულები" [ფეხბურთელი ქალი].*

> *,,არ არის ასეთი გარემო. ორ მწვრთნელთან მქონდა უკვე ასეთი შემთხვევა. ვერცერთ კაცს ვერ ვენდობი უკვე, ყველგან ახალგაზრდა ბიჭები არიან მწვრთნელები და სანდო არავინ არ არის, ერთმა და ორმა თუ გაბედა, ყველა გაბედავს. თუ გავრცელდება სადმე ეს ინფორმაცია, უფრო თავს შეიკავებენ. უნდა გამჟღავნდეს თუ ვინმე გააკეთებს" [ფეხბურთელი ქალი].*

> *,,მნიშვნელოვანია, ამაზე ხმამაღლა საუბარი, რომ სხვებმა ნახონ, რომ მარტო არ არიან და არ შეეშინდეთ. მედიას როლიც ძალიან მნიშვნელოვანია. მასშტაბურად უნდა დაიწყოს ამაზე საუბარი" [ფეხბურთელი ქალი].*

დასკვნა

თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში სპორტში ქალთა თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების პრაქტიკა და ტენდენციები სრულად იმეორებს საერთაშორისო კვლევების მიგნებებს. გამოკვეთილი პრობლემები იდენტურია იმ საკითხების, რომლებზეც სხვადასხვა ქვეყანაში სპორტში ქალთა

---

[21] პროექტის ოფიციალური ვებგვერდი - https://www.playbytherules.net.au/

[22] The Code of Ethics and Good Practice for Children's Sport, https://bit.ly/3vQH6Q3
ასევე, შეგიძლიათ იხილოთ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ,,ბავშვების უსაფრთხოება სპორტში" (CSiS) ფარგლებში მიმდინარე აქტივობები უსაფრთხო სპორტის თემაზე ბავშვებისათვის, https://pjp-eu.coe.int/en/web/pss/home

ძალადობისა და სექსუალური შევიწროების თემაზე ფოკუსირებული პოლიტიკის დოკუმენტები და ინიციატივები ამახვილებენ ყურადღებას. კერძოდ, საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

- მნიშვნელოვანია ერთიანი პოლიტიკის არსებობა ეროვნულ დონეზე სპორტში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ საბრძოლველად;
- აუცილებელია არსებობდეს საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული ეფექტური რეაგირების მექანიზმი სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევებზე;
- გარდა გასაჩივრების ცხადი პროცედურების არსებობისა, უდნა არსებობდეს მსხვერპლების მხარდაჭერას, მოძალადის მიმართ სანქციების გამოყენების შესაძლებლობა;
- უნდა არსებობდეს ცალკე ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა და ეფექტური რეაგირების მექანიზმების;
- სპორტში სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანია აღნიშნულ თემაზე ცოდნისა და ინფორმირებულობის გაზრდა, რომელშიც ჩაერთვებიან როგორც მწვრთნელები და სპორტული ორგანიზაციის წარმომადგენლები, ისე სპორტსმენები და მათი მშობლები;
- ასაკი და სქესი წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს სპორტში სექსუალური შევწიროებისა და ძალადობის შემთხვევებში;
- სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობას ქალი სპორტსმენების მიმართ ძირითადად ახორციელებენ კაცი მწვრთნელები.

შედეგებმა გამოავლინა, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც არსებობს ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების საკმაოდ მძიმე პრაქტიკის მიუხედავად, არის შესაბამისი პრევენციული პროგრამების არარსებობა. საქართველოში არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა და ხედვა, რომელიც აქცენტს გააკეთებს ქალთა მონაწილეობის გაზრდაზე სპორტის ყველა სახეობაში, უპასუხებს იმ გამოწვევებს, რომელიც არსებობს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქალებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიმართულებით, არ ხდება მწვრთნელებისა და თავად სპორტსმენების ინფორმირებულობა ძალადობისა და სექსუალური შევიწროების თემაზე, მათ შორის შევიწროებისგან დაცვის ქვეყანაში არსებულ მექანიზმებზე.

საერთაშორისო კვლევების მიგნებების მსგავსად, სექსუალური შევიწროებისა და ძალადობისგან დაცვის მიმართულებით საქართველოშიც განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ გოგო ბავშვები და ეს შეიძლება განხილული იყოს როგორც ერთ-ერთი მთავარი რისკ-ფაქტორი. ისევე როგორც საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, საქართველოს შემთხვევაშიც სექსუალური შევიწროება ძირითადად კაცი მწვრთნელების და/ან კლუბის ადმინისტრაციის მხრიდან ხორციელდება. კვლევის შედეგებმა ასევე გამოავლინა ანალოგია საერთაშორისო პრაქტიკასთან, როდესაც ქალი სპორტსმენები კიდევ უფრო მოწყვლადები არიან ძალადობისა და სექსუალური შევიწროების მიმართ, როდესაც მწვრთნელთან ერთად უწევთ გასვლით შეხვედრებზე დიდი ხნით ყოფნა.

თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, სპორტში ქალთა თანასწორობის მისაღწევად და ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების აღმოსაფხვრელად

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ დაიწყოს აქტიური პოლიტიკის გატარება, ეროვნულ დონეზე პრევენციაზე მიმართული პოლიტიკის შექმნა და შესაბამისი პროგრამების ამოქმედება.

რეკომენდაციები

- შემუშავდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა სპორტში ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და თანასწორობის მიღწევის მიმართულებით, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება სპორტის ყველა სახეობის სპეციფიკა;
- შეიქმნას სპორტში ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა;
- შეიქმნას სპორტში ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ძალადობისგან დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს კონკრეტული ცნობიერების გაზრდის ინიციატივები, რომლის მიზანი სპორტში ქალთა მონაწილეობის გაზრდა და მის მნიშვნელობაზე აქცენტის გაკეთება იქნება;
- შემუშავდეს სპორტში ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების რეაგირების ეფექტური მექანიზმი;
- სპორტში ბავშვების მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების პრევენციული პროგრამების შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს მშობელთა ჩართულობისა და მათი ინფორმირებულობის საკითხი.